საჩხერის მუნიციპალიტეტის სოფელ ჭორვილის საჯარო სკოლის ექვსწლიანი განვითარების სტრატეგიული გეგმა (2016-2021წ.)
(მოდიფიცირებულია 2019 წლის 17 სექტემბერს)

1. **მთავარი მიზანი:**
   ჩვენი მიზანია სკოლაში შევქმნათ ხელსაყრელი პირობები ეროვნული და ზოგადსაკაცობრიო ღირებულებების მატარებელი, თავისუფალი პიროვნების ჩამოყალიბებისათვის. განუვითაროთ მოსწავლეებს გონებრივი და ფიზიკური უნარ-ჩვევები, მივცეთ საჭირო ცოდნა, დავამკვიდროთ ჯანსაღი ცხოვრების წესი, მოსწავლეებს ჩამოვუყალიბოთ ლიბერალურ და დემოკრატიულ ღირებულებებზე დამყარებული სამოქალაქო ცნობიერება და დავეხმაროთ მათ ოჯახის, საზოგადოებისა და სახელწმიფოს წინაშე საკუთარი უფლება-მოვალეობების გაცნობიერებაში.
2. **სკოლის მისია:**
   ჩვენი სკოლის მისიაა ისეთი სასწავლო გარემოს შექმნა და შენარჩუნება, სადაც თითოეული მოსწავლე შეძლებს ხარისხიანი, თანამედროვე სტანდარტების შესაბამისი განათლების მიღებას .

3. <u>**მთავარი ღირებულებები**</u>

სამართლიანობა: სკოლა აღიარებს სამართლიანობის პრინციპს, პატივს ცემს ყველა ადამიანის ღირსებას და თავის საქმიანობას წარმართავს მოქმედი კანონმდებლობისა და სკოლის შინაგანაწესის შესაბამისად.

დემოკრატიულობა: სკოლაში სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებების მიღების პროცესი არის ობიექტური, მიუკერძოებელი და გამჭვირვალე. სკოლა უზრუნველყოფს გადაწყვეტილებების მომზადების და მიღების პროცესში ყველა იმ მსურველის ჩართულობას, რომელზეც აისახება ეს გადაწყვეტილება.

ურთიერთთანამშრომლობა და პასუხისმგებლობა: სკოლის ყველა სუბიექტი –ადმინისტრაცია,მასწავლებელი, ტექნიკური პერსონალი, მოსწავლე, მშობელი–იზიარებს ურთიერთთანამშრომლობისა და ურთიერთპატივისცემის პრინციპს და პასუხისმგებელია თავისი მოვალეობების პირნათლად შესრულებასა და თავის ქმედებებზე.

4. **სკოლის სტრატეგიული მიზნები, ინდიკატორები და მიზნის მიღწევის სტრატეგიები :**

სტრატეგიული მიზნების და ამოცანების შემუშავებისათვის შევიმუშავეთ ჩვენი სკოლის SWOT ანალიზი, რაც საშუალებას მოგვცემს უკეთ გავერკვეთ თუ რას წარმოვადგენთ ახლა და როგორი გვინდა ვიყოთ მომავალში.

სკოლის SWOT ანალიზი

ძლიერი მხარეები	სუსტი მხარეები
1. კვალიფიციური პედაგოგები 2. სკოლის უსაფრთხოების მაღალი დონე 3. მანდატურის სამსახური 4. მძლავრი მატერიალურ-ტექიკური ბაზა 5. მუდმივი ინტერნეტი 6. სკოლის საკუთარი ტრანსპორტი 7. ქველმოქმედის დახმარებით საცურაო აუზის ფუნქციონირება 8. ძლიერი თვითმმართველობა 9. განვითარებული არაფორმალური განათლება 10. ტექნოლოგიების ეფექტური გამოყენება სასწავლო პროცესში და მენეჯმენტში	1. მასწავლებლების მიერ მშობლებთან არასაკმარისი თანამშრომლობა 2. მშობელთა ნაკლები ჩართულობა სასწავლო პროცესში 3. სამედიცინო სამსახურის არქონა 4. არასრულყოფილად ადაპტირებული გარემო სსსმ მოსწავლეებისთვის 5. მოძველებული და არასაკმარისი კომპიუტერული ტექნიკა 6. კათედრების სუსტი მუშაობა
შესაძლებლობები	**საფრთხეები, რისკები**
1. გარედან შემოთავაზებული მოსწავლეთა და მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ღონისძიებები 2. წარმატებული სკოლების გამოცდილების გაზიარება	1. კონკურენცია სასულიერო სკოლასთან; 2. საბიუჯეტო დაფინანსების არა საკმარისობა; 3. საკანონმდებლო ბაზის ხშირი ცვლილებები 4. სოფლის დემოგრაფიული მდგომარეობა და მიგრაცია; 5. მომხმარებელთა(მშობელთა, მოსწავლეთა) მოთხოვნების ცვლა;

სტრატეგიული მიზნები

მიზანი:

I. ჩვენს სკოლაში ყველა მოსწავლე შეძლებს ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული ცოდნისა და უნარჩვევების დაუფლებას.

მიზნის მიღწევის სტრატეგიები:

- სკოლა შეიმუშავებს სასკოლო სასწავლო გეგმას, სადაც სწავლება და შეფასება არის თანმიმდევრული და შეესაბამება საგნობრივ სტანდარტებს. არსებობს მჭიდრო კავშირი გამიზნულ (რა უნდა ვასწავლოთ?), მიწოდებულ (რას ვასწავლით?) და ათვისებულ (რა ისწავლეს?) სასწავლო გეგმას შორის
- სკოლა აიღებს პასუხისმგებლობას ყველა მოსწავლის აკადემიურ შედეგზე და უზრუნველყოფს სწავლა-სწავლების თანაბარ პირობებს, მიუხედავად მათი სოციალური მდგომარეობისა, პიროვნული თვისებებისა და აკადემიური შესაძლებლობებისა;

- სკოლა გაანალიზებს მოსწავლეების მრავალმხრივ შესაძლებლობებს, გამოავლენს თითოეული მოსწავლის ძლიერ მხარეებსა და ინტერესებს, რის საფუძველზეც შეიმუშავებს მოსწავლეების მიღწევების გაუმჯობესების გეგმას; სირთულეების შემთხვევაში მოახდენს დროულ პრევენციას და ჩარევას;
- სკოლა დანერგავს ინდივიდუალურ სწავლებას, რომელიც თითოეულ მოსწავლეს საკუთარი პოტენციალის სრულფასოვნად გამოყენების შესაძლებლობას მისცემს; ამისათვის გამოიყენებს მრავალფეროვან სტრატეგიებს, როგორებიცაა ინდივიდუალური დავალებები, წყვილებში და ჯგუფებში მუშაობა, დამატებითი მეცადინეობები და სხვ.
- სკოლა სპეც.მასწავლებლების დახმარებით უზრუნველყოფს ინკლუზიურ განათლებას.
- სკოლა დანერგავს პროექტებით სწავლებას რომელიც დაანახებს მოსწავლეებს ნასწავლის საჭიროებას და სარგებელს რეალურ ცხოვრებაში.
- სკოლა ორიენტირებული იქნება მოსწავლეებში მაღალი დონის სააზროვნო უნარებისა და 21 საუკუნის უნარჩვევების გამომუშავებაზე
- სკოლა გამოიყენებს თანამედროვე ტექნოლოგიებს იმისათვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი გახადოს უფრო საინტერესო და ნაყოფიერი.

პროგრესის შეფასების ინდიკატორები:

I.1. მოსწავლეთა აკადემიური მაჩვენებლები ყოველწლიურად გაიზრდება მინიმუმ 2 %-ით.
I.2. ეროვნულ გამოცდებში სკოლის კურსდამთავრებულთა მინიმუმ 50% მიაღწევს წარმატებას.
I.3. სკოლას ყოველწლიურად ჰყავს სამინისტროს მიერ ინიცირებულ პროექტებსა და კონკურსებში მონაწილე და საპრიზო ადგილზე გასული მინიმუმ 2 მოსწავლე
I.4. ყველა ტიპის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლე ჩართულია ზოგადსაგანმანათლებლო სასწავლო პროცესში თანატოლებთან ერთად.
I.5. მოსწავლეთა მინიმუმ 90%-ს აქვს მაღალი სამოქალაქო ცნობიერება რაც უზრუნველყოფს მათ პიროვნულ განვითარებას, სასწავლო და საზოგადოებრივ ცხოვრებაში მაღალ ჩართულობას.

<u>მიზანი:</u>

<u>II. სკოლას ეყოლება მაღალკვალიფიციურ პედაგოგთა გუნდი რომელიც ფოკუსირებული იქნება მოსწავლეთა წარმატებებზე</u>

<u>მიზნის მიღწევის სტრატეგიები:</u>

✔ სკოლის ადმინისტრაცია აღიარებს პროფესიული განვითარების მნიშვნელობას: სკოლის დირექტორი და დირექტორის მოადგილე უშუალოდ მიიღებენ მონაწილეობას კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების ღონისძიებებში, გამოყოფენ საკმარის ადამიანურ და ფინანსურ რესურსებს, სხვადასხვა ფორმით წაახალისებენ მასწავლებლების აქტიურ ჩართულობას პროფესიული განვითარების ღონისძიებებში.

✔ სკოლა უზრუნველყოფს პროფესიული განვითარების ღონისძიებების დაგეგმვაში მასწავლებლების აქტიურ ჩართულობას. მასწავლებლები შეაფასებენ სწავლებისა და სწავლის პროცესს და განსაზღვრავენ პროფესიული განვითარების ინდივიდუალურ საჭიროებებს;

✔ სკოლა უზრუნველყოფს რომ პროფესიული განვითარება იყოს უწყვეტი, პერმანენტული პროცესი და არა ეპიზოდური, ფრაგმენტული ინიციატივები

✔ სკოლა გააძლერებს კათედრების კოორდინირებულ მუშაობას

სკოლა გამოიყენებს ურთიერთთანამშრომლობის, კვალიფიკაციის ამაღლებისა და პროფესიული განვითარების შემდეგ ფორმებს:

სკოლის ბაზაზე არსებული პროფესიული განვითარების ფორმები	
ტრენინგი	მასწავლებლები რეგულარულად ესწრებიან განათლების სამინისტროს მიერ აკრედიტებულ ტრენინგებს, სადაც იღრმავებენ ცოდნასა და ივითარებენ უნარ-ჩვევებს სწავლისა და სწავლების კონკრეტული მიმართულებით.
გაკვეთილზე დასწრება	სკოლის დირექტორი, დირექტორის მოადგილე ან სხვა უფლებამოსილი პირები მასწავლებელთა დახმარების მიზნით ახორციელებენ საგაკვეთილო პრაქტიკის მონიტორინგს და აძლევენ განმავითარებელ კომენტარს.
მენტორობა	გამოცდილი და დამწყები მასწავლებლები რეგულარულად თანამშრომლობენ ამ უკანასკნელის პროფესიული უნარ-ჩვევების გაუმჯობესების მიზნით.
ურთიერთდაკვირვება	კათედრებზე მასწავლებლები სისტემატურად ესწრებიან კოლეგებს გაკვეთილზე გამოცდილების გაზიარების ან განმავითარებელი შეფასების მიზნით.
სამუშაო შეხვედრები	მასწავლებლები აწყობენ სამუშაო შეხვედრებს (კათედრის სხდომა, კლასის მასწავლებლების დისკუსია, კათედრის ხელმძღვანელების შეხვედრა და ა.შ.), სადაც ხდება არსებული პრაქტიკის, მოსწავლეების შედეგების, პრობლემების მოგვარების გზების განხილვა და გამოცდილების გაზიარება.

პროგრესის შეფასების ინდიკატორები:

II.1. სკოლაში არის პროფესიონალ და მოთხოვნად მასწავლებელთა მინიმუმ 80%-იანი რაოდენობა
II.2. სკოლის ყველა მასწავლებელი ფლობს კლასის მართვის, სწავლებისა და შეფასების მრავალფეროვან სტრატეგიებსა და ინსტრუმენტებს.
II.3. სკოლის ყველა მასწავლებელი ფლობს თანამედროვე ტექნოლოგიების გამოყენების უნარჩვევებს.
II.4. სკოლის ყველა მასწავლებელი აქტიურად თანამშრომლობს კათედრებზე, ეფექტურად თანამშრომლობენ და გამოცდილებას უზიარებს ერთმანეთს.

მიზანი:

III. **<u>ჩვენს სკოლაში იქნება უსაფრთხო , დისციპლინირებული ,პოზიტიური, ჯანსაღი, წამახალისებელი და ინტელექტუალურად მასტიმულირებელი გარემო, რომელიც შექმნის სკოლის თანამშრომელთა ნაყოფიერად მუშაობისა და მოსწავლეების სწავლისა და წარმატებისთვის ხელსაყრელ პირობებს.</u>**

მიზნის მიღწევის სტრატეგიები

- ✔ სკოლა განუხრელად შეასრულებს საგანმანათლებლო დაწესებულებებში უსაფრთხოების მიზნით გასატარებელ ღონისძიებათა ინსტრუქციას
- ✔ სკოლა უზრუნველყოფს მოსწავლეებისა და სკოლის კოლექტივის ჯანმრთელობასა და უსაფრთხოებასთან დაკავშირებულ პირობებს (უსაფრთხოების კამერები, დაცვის თანამშრომლები, პერსონალის მორიგეობა, , ტექნიკური მომსახურება, მანდატურის სამსახური, ელექტრო უსაფრთხოება, ხანძარსაწინააღმდეგო დაცვა და სანიტარული ჰიგიენა)

- ✔ სკოლა უზრუნველყოფს რათა დაცული იქნას თითოეული თანამშრომლის, თითოეული მოსწავლის ადამიანური ღირსება და კონსტიტუციუტი უფლებები

    - ✔ სკოლა ორიენტირებული იქნება თანამშრომლებთან და მოსწავლეებთან თანამშრომლობითი, ურთიერთპატივისცემაზე აგებული ურთიერთობების დამყარებაზე და პოზიტიური ქცევის ხელშეწყობაზე კონსტრუქციული დიალოგის საშუალებით

    - ✔ სკოლა ფოკუსირებული იქნება რისკის შემცველი მოსწავლეების დროულ იდენტიფიცირებასა და მათი მხრიდან სხვადასხვ სახის დისციპლინარული პრობლემების პრევენციაზე;

    - ✔ სკოლა შეიმუშავებს და მუდმივ და სამართლიან მოქმედებაში მოიყვანს დისციპლინური გარემოს შენარჩუნებისთვის საჭირო წესებს და პროცედურებს (საქართველოს მოქმედი კანონმდებლობა და სკოლის შინაგანაწესი) რომლებიც დაარეგულირებს მოსწავლეებისა და სკოლის თანამშრომლების ქცევას როგორც საგანმანათლებლო დაწესებულებაში, ასევე მის გარეთ (ისეთი საკითხების შესახებ, როგორებიცაა სხვადასხვა სახის ძალადობა და ჩაგვრა, სიტყვიერი შეურაცხყოფა, სხვების უსაფრთხოების უპატივცემულობა, სასკოლო ქონების დაზიანება, გაცდენები, ჩხუბი, ქურდობა, და სხვ.);

    - ✔ საქართველოს მოქმედი კანონმდებობისა და სკოლის შინაგანაწესის გათვალისწინებით შემუშავებული იქნება სანქციები, რომელიც ამოქმედდება წესებისა და პროცედურების დარღვევების შემთხვევაში .

    - ✔ სკოლა უზრუნველყოფს თანამშრომლებისა და მოსწავლეებისთვის სკოლაში არსებული ყველა სამუშაო და სასწავლო რესურსის ხელმისაწვდომობას, ასევე შესაძლებლობის ფარგლებში უზრუნველყოფს ახალის შეძენას

- ✔ მუშაობაში მოპოვებული წარმატებისათვის, შრომითი ხელშეკრულებით გათვალისწინებული ვალდებულებების მაღალი პროფესიონალიზმით შესრულებისათვის, აგრეთვე განსაკუთრებული სირთულის ან მნიშვნელობის სამუშაოს შესრულებისათვის, ხანგრძლივი და კეთილსინდისიერი სამსახურისთვის , საგანმანათლებლო პროცესში განსაკუთრებულად თავის გამოჩენისათვის სკოლა გამოიყენებსს წახალისების სხვადასხვა ფორმებს
- ✔ სწავლასა და ყოფაქცევაში მიღწეული წარმატებისათვის სკოლა მოსწავლეების მიმართ გამოიყენებს წახალისების სხვადასხვა ფორმებს

პროგრესის შეფასების ინდიკატორები:

III.1. სკოლის თანამშრომლები და მოსწავლეები 100%-ით უზრუნველყოფილი არიან სოციალურად, რელიგიურად და პოლიტიკურად ნეიტრალური და ტოლერანტული სასწავლო გარემოთი.

III.2. სკოლის ფიზიკური გარემო იმგვარად არის ორგანიზებული, რომ 100%-ით უსაფრთხოა ძალადობის და სერიოზული დისციპლინური დარღვევებისაგან.

III.3. მოსწავლეებში საშემსრულებლო დისციპლინის დამრღვევთა რაოდენობა არ აღემატება 5%-ს

III.4. სკოლის თანამშრომლებში საშემსრულებლო დისციპლინის დამრღვევთა რაოდენობა არ აღემატება 0.5%-ს

III.5. სკოლის თანამშრომელთა და და მოსწავლეთა მინიმუმ 80% მოტივირებულია და თავიანთ მოვალეობებს ასრულონ პირნათლად და კეთილსინდისიერად

მიზანი:

IV. **სკოლა შეინარჩუნებს და განავითარებს შენობისა და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის არსებულ მდგომარეობას რომელიც ყოველმხრივ პასუხობს თანამედროვე სანმანათლებლო დაწესებულების მოთხოვნებს.**

მიზნის მიღწევის სტრატეგიები

- ✔ სკოლის შენობას და მატერიალურ-ტექნიკურ ბაზას სკოლის ტექნიკურ პერსონალთან ერთად გაუფრთხილდება და მოუვლის სკოლის ყველა თანამშრომელი და მოსწავლე
- ✔ სკოლა უზრუნველყოფს შენობაში ისეთ ფიზიკურ გარემოს რომელიც მოხერხებული იქნება შეზღუდული შესაძლებლობების მქონე ბავშვებისთვის
- ✔ სკოლა ფინანსური შესაძლებლობის ფარგლებში გამოყოფს სახსრებს სკოლის შენობის მოვლის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და ფუნქციონირებისათვის
- ✔ სკოლა მოიძიებს და მოიზიდავს სახსრებს სკოლის შენობის მოვლის და მატერიალურ-ტექნიკური ბაზის განახლებისა და სრულყოფილი ფუნქციონირებისათვის. (ალუმნები, სხვადასხვა სახის გრანტები, საქველმოქმედო ღონისძიებები და სხვა.)

პროგრესის შეფასების ინდიკატორები:

IV.1. სკოლის შენობაში არის პანდუსები და სხვა აუცილებელი საშუალებები შეზღუდული შესაძლებლობების მქონე მოსწალეებისთვის

IV.2. სკოლაში მთელი სასწავლო წლის განმავლობაში ფუნქციონირებს საცურაო აუზი

IV.3. სკოლას აქვს თანამედროვე საკომუნიკაციო ტექნოლოგიებით აღჭურვილი ლაბორატორია და კაბინეტები

IV.4. გარემონტებულია სკოლის ძირითადი სასწავლო შენობა და სპორტული დარბაზები

მიზანი:

V. **მოსწავლეებისთვის ხარისხიანი განათლების მიღებაში მონაწილეობას ღებულობენ არა მხოლოდ მასწავლებლები, არამედ ოჯახებისა და საზოგადოების წარმომადგენლებიც . მათ დიდი წვლილი შეაქვთ ამ მნიშვნელოვანი ფუნქციის (ხარისხიანი განათლების მიღება) განხორციელებაში.**

მიზნის მიღწევის სტრატეგიები

- ✔ სკოლა შესთავაზებს მშობლებსა და ადგილობრივი თემის წარმომადგენლებს თანამშრომლობით ურთიერთობებს სხვადასხვა სასკოლო პროგრამებისა და ღონისძიებების განხორციელებისას.
- ✔ მოხდება ინფორმაციის რეგულარული და ორმხრივი გაცვლა სკოლასა და ოჯახს / საზოგადოებას შორის
- ✔ სკოლა უზრუნველყოფს მშობლებისა და საზოგადოების ჩართულობას სტრატეგიულად მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების პროცესში

პროგრესის შეფასების ინდიკატორები:

V.1. სასკოლო ცხოვრებაში აქტიურად არიან ჩართული მშობლები და ადგილობრივი თემის წარმომადგენლები რაც თავის მხრივ უზრუნველყოფს მოსწავლეების მაღალ აკადემიურ მოსწრებასა და დისციპლინას.

V.2. სკოლისთვის მნიშვნელოვანი გადაწყვეტილების მიღების და მონიტორინგის პროცესში მონაწილეობს სამეურვეო საბჭოს ყველა მშობელი წევრი და მშობელთა კომიტეტი

V.3. ადგილობრივი თვითმმართველობა რეგულარულად ერთვება სასკოლო ცხოვრებაში

V.4. სკოლას აქვს მშობლებთან კომუნიკაციის ინტერნეტ-არხები (სკოლას აქვს საკუტარი ფეისბუქ-გვერდი და ბლოგი, ასევე ყველა სადამრიგებლო კლასს აქვს საკუთარი ფეისბუქ-გვერდი, რომელიც ხელმისაწვდომია და სადაც რეგულარულად ქვეყნდება ინფორმაცია სასკოლო ცხოვრების სიახლეების, მოსწავლეთა აკადემიური მოსწრების, გაცდენების შესახებ და სასკოლო დოკუმენტაცია)

აქტივობები რომელთა განხორციელება იგეგგმება 2016-2022 წლებში

№	აქტივობის დასახელება	2016 2017	2017 2018	2018 2019	2019 2020	2020 2021	2021 2022
1	სკოლის სასწავლო გეგმა	x	x		x	x	x
2	სკოლის შინაგანაწესის შემუშავება	x	x	x	x	x	x
3	ერთწლიანი და ექვსწლიანი სასწავლო გეგმების შედგენა/მოდიფიცირებ	x	x	x	x	x	x
4	საგნობრივი კათედრების სამუშაო გეგმებში სიახლეების დანერგვა	x	x	x	x	x	x
5	სადამრიგებლო პროგრამების ამოქმედება	x	x	x	x	x	x
6	გაკვეთილების ცხრილის შემუშავება	x	x	x	x	x	x
7	პედაგოგთა და მოსწავლეთა პირადი საქმეების მოწესრიგება	x	x	x	x	x	x
8	ხელშეკრულებების გაფორმება პედაგოგებთან	x	x	x	x	x	x

9	სკოლის საათობრივი ბადე	x	x	x	x	x	x
10	სკოლის სასწავლო გეგმის შესაბამისობაში მოყვანა ეროვნული სასწავლო გეგმასთან, მისი დანერგვა და ფუნქციონირების ხარისხის შეფასება	x	x	x	x	x	x
11	საგნობრივი სწავლების გაძლიერება მესამე საფეხურზე	x	x	x	x	x	x
12	სასწავლო პროცესის მუდმივი მონიტორინგი	x	x	x	x	x	x
14	უცხო ენების სწავლების კიდევ უფრო გაღრმავება	x	x	x	x	x	x
15	გრიფირებული სასწავლო სახელმძღვანელოების შერჩევა	x	x	x	x	x	x
16	სამოქალაქო ცნობიერების ამაღლება	x	x	x	x	x	x

17	საგაკვეთილო პროცესის მოდერნიზაცია	x	x	x	x	x	x
18	მოსწავლეთა მიღწევების დინამიკის შესწავლა	x	x	x	x	x	x
19	შიდა, რესპუბლიკური და საერთაშორისო პროექტების დანერგვა და მართვა	x	x	x	x	x	x
20	საჩვენებელი გაკვეთილების დაგეგმვა და ჩატარება ყველა საგანში	x	x	x	x	x	x
21	კონფერენციების, სემინარების, ოლიმპიადების, შემეცნებით სპორტული, კულტურული ღონისძიებების დაგეგმვა	x	x	x	x	x	x
22	საკლუბო და წრეობრივი მუშაობის დანერგვა და მართვა	x	x	x	x	x	x
23	მოტივაციის სისტემის ამუშავება	x	x	x	x	x	x
24	სოციალური ქსელის გვერდის, ბლოგის ამუშავება და დახვეწა	x	x	x	x	x	x
25	წარჩინებულ მოსწავლეთა კუთხის მოწყობა	x	x	x	x	x	x
26	ინკლუზიური განათლება	x	x	x	x	x	x
27	მმართველობის სწორი და ეფექტური დელეგირება	x	x	x	x	x	x
28	მოსწავლეთა თვითმმართველობის გაძლიერება	x	x	x	x	x	x
29	შეხვედრების მოწყობა ადგილობრივი თვითმმართველობისა და თემის წარმომადგენლებთან	x	x	x	x	x	x
30	მოსწავლეთა, პედაგოგთა და ტექნიკური პერსონალის მორიგეობის ორგანიზება	x	x	x	x	x	x

31	გაკვეთილებზე დასწრების მონიტორინგის სისტემის შექმნა	x	x	x	x	x	x
32	პედაგოგთა არგამოცხადების აღრიცხვა და შესაბამისი რეაგირება	x	x	x	x	x	x
33	სახანძრო უსაფრთხოების წესების დაცვა	x	x	x	x	x	x
34	საევაკუაციო გეგმის თვალსაჩინო ადგილზე მოთავსება;	x	x	x	x	x	x
35	საკანცელარიო დოკუმენტაციის მოწესრიგება (საკლასო ჟურნალების, ბრძანებების წიგნის, შემოსული და გასული კორესპონდეციის აღრიცხვის წიგნები, პედსაბჭოს მუშაობის ამსახველი დოკუმენტაციის და ა.შ.)	x	x	x	x	x	x
36	ბიბლიოთეკის აქტიური ჩართვა სკოლის ცხოვრებაში	x	x	x	x	x	x
37	სკოლის აღჭურვა და განახლება თანამედროვე ტექნოლოგიებით	x	x	x	x	x	x
38	საცურაო აუზის ფუნქციონირება	x	x	x	x	x	x
39	სკოლის თვითშეფასებისა და მონიტორინგის მექანიზმების შემუშავება	x	x	x	x	x	x
40	მოტივაციის გაზრდა წახალისების სხვადასხვა ფორმებით	x	x	x	x	x	x
41	ორმხრივი კომუნიკაცია სკოლასა და მშობელს შორის	x	x	x	x	x	x
42	მშობლის მოხალისეობრივ საქმიანობაში მონაწილეობა	x	x	x	x	x	x
43	მშობელთა კომიტეტის შექმნა	x	x	x	x	x	x
44	ტრენინგები და სემინარები	x	x	x	x	x	x

45	პედაგოგების ურთიერთთანამშრომლობა	x	x	x	x	x	x
46	პედაგოგების თანამშრომლობა პროფესიული პროგრამების მასწავლებლებთან და ერთობლივი ღონისძიებების დაგეგმვა	x	x	x	x	x	x
47	სკოლის შენობების ტექნიკური მდგომარეობის კონტროლი და განახლება	x	x	x	x	x	x
48	უსაფრთხოების ზომების სრულყოფა და განვითარება	X	x	X	X	X	X
49	სანიტარულ-ჰიგიენური ნორმების მკაცრი კონტროლი	X	X	X	X	X	X
50	კულტურული და სპორტული წრეების ფუნქციონირება	X	X	X	X	X	X
51	გამოუყენებელი ფართის იჯარით გაცემა	X	X	X	X	x	X

სკოლის დირექტორი: ----------/გიორგი ხომასურიძე/

თარიღი ----------